მალვინა შანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Malvina.shanidze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.96

ქართული ენის ინტეგრირებული სწავლების საკითხები ხელოვნების საგნებთან კავშირში

ინტეგრირებული გაკვეთილი ინტერდისციპლინური სწავლების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. თავად **ინტერდისციპლინური** სწავლება კი მეთოდი ან მეთოდთა ნაკრებია, რომელიც გამოიყენება კურიკულუმით (სასწავლო გეგმით) გათვალისწინებული საგნების **საგანთაშორისი სწავლებისათვის.** ის ერთგვარად თავს უყრის ცალკეულ დისციპლინებს **საერთო თემის, საკითხის** ან **პრობლემის** შესწავლა/გადაჭრის თვალსაზრისით. ინტეგრირებული გაკვეთილი არ გულისხმობს მხოლოდ ორი ან მეტი საგნის სასწავლო მასალის მექანიკურ გაერთიანებას. აქ ახალი ცოდნის ათვისების გარდა, არსებული ცოდნის ახალ სიტუაციებში გამოყენების საშუალებაც უნდა ეძლეოდეს ბავშვს.

გერმანელი პედაგოგის ა. დისტერვეგის გამონათქვამს ინტეგრირებული სწავლების პრინციპებზე (მ.შ.) დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. იგი წერდა: „უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ერთი და იმავე საგნის სწავლებას ათი სხვადასხვა მხრიდან, ვიდრე ათი სხვადასხვა საგნის სწავლებას ერთი მხრიდან. ცოდნის რაოდენობაში კი არ არის განათლება, არამედ ყოველივე იმის **სრულ გაგებასა და ოსტატურ გამოყენებაში,** რაც იცი.“

ამ მიზნით ყურადღება გამახვილდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე ხელოვნების საგნებთან (კინოხელოვნება, ხალხური და კლასიკური მუსიკა, სახვითი ხელოვნება) ინტეგრირებით.

პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებები **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** და უშუალოდ - საგნის სწავლების სტანდარტები, რომელიც ხელოვნების საგნებთან ინტეგრირების ნიშნებს ატარებს.

მე-5 კლასის ე.ს.გ-ის სტანდარტის მიხედვით ბავშვი:

ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ილუსტრაციებს (შესაძლებელია კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ხსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაციის/ილუსტრაციების ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან;

მხატვრული ტექსტის წაკითხვით გამოწვეული ემოციების გადმოსაცემად შეარჩევს ნაცნობ მუსიკალურ ნაწარმოებს/ნაწარმოების ფრაგმენტს;

ნაწარმოების წაკითხვით აღძრული ემოციების გადმოსაცემად არჩევს ფერებს, მუსიკას, სხვადასხვა ხმოვან ეფექტებს . . .

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის 2017-2023 წლის ვერსიის 52-ე მუხლში **ესთეტიკური სწავლების საგნობრივ ჯგუფებზე** გვაქვს სტანდარტები. კერძოდ, **მუსიკასა** და **სახვით და გამოყენებით ხელოვნებაზე,** რომელთა შესწავლის **მიზანია:** „განუვითაროს მოსწავლეებს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური სფერო; ამ საგნების შესწავლამ მოსწავლეებს უნდა გამოუმუშაოს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის,

შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრული ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების დაუფლებას. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში."

ქართული ენასა და ხელოვნების საგნებში მიღებული ცოდნის ინტეგრაცია სასიკეთოდ წაადგება მოსწავლეებს ცოდნის დონის ამაღლების, საკითხში ღრმად წვდომისა და მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში რეალიზების თვალსაზრისით.

ინტეგრირებული სწავლების ეფექტურობაში განსაკუთრებით მაშინ დავრწმუნდებით, თუ პრაქტიკული მაგალითების მოხმობითა და მოკლე გეგმის წარმოდგენით დავასაბუთებთ მის ჭეშმარიტებას.

მე-5 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში შეტანილია **იაკობ გოგებაშვილის** მოთხრობა **„იავნანამ რა ჰქმნა?!"** პედაგოგმა ხელოვნების საგნებთან ინტეგრირების გათვალისწინებით უნდა დაადგინოს, თუ:

ა) კონკრეტულად რომელი **თემა** დომინირებს;

ბ) რამდენი სასწავლო საგნის ან სფეროს **ჩართვას** საჭიროებს თემა;

გ) რა **ინფორმაცია** და **რესურსები** უნდა **მოიძიოს,** სად და რა დოზით **გამოიყენოს;**

დ) მოძიებული და შერჩეული მასალა როგორ **ჩაშალოს და დაალაგოს** საგაკვეთილო **აქტივობებისა** და **კომპლექსური დავალების** სახით.

პედაგოგი:

- პირველ რიგში, **წინარე ცოდნას** გაუაქტიურებს მოსწავლეებს „იავნანას" თემაზე შერჩეული ვიდეომასალის/ების გამოყენებით;
- აქვე **„ასოციაციურ რუკას"** მოიშველიებს და გაარკვევს, რა იცოდნენ მოსწავლეებმა „იავნანას" შესახებ;
- გააცნობს იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოების სათაურს („იავნანამ რა ჰქმნა?!"), რამდენიმე ილუსტრაციას და გამოათქმევინებს **ვარაუდებს,** თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს იგი;
- საჭიროებისამებრ გააცნობს რამდენიმე **რთულ ლექსიკურ ერთეულს** (რომელიც ტექსტში შეხვდებოდათ). შემდეგ: ა)ორ-სამ **ლექსიკურ სქემას** გამოიყენებს ამ სიტყვების განსახილველად ან **ბ)დავალების ბარათებს** - წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების კონტექსტის მიხედვით სწორად განთავსების მიზნით;
- ერთ აბზაცს წაიკითხავს, ხოლო შემდეგ მოსწავლეებს **წააკითხებს ტექსტს** ლოგიკური და ფსიქოლოგიური მახვილისა და პაუზის გათვალისწინებით;
- დასვამს ჯერ **ფაქტობრივ,** ხოლო შემდეგ **ღრმა სააზროვნო** შეკითხვებს ტექსტის გაგება-გააზრებისა და გაანალიზების მიზნით;
- **პერსონაჟების თვისებების** დასადგენად და მოთხრობაში არსებული **პრობლემის გადაჭრის** გზის მოსანახად, გამოიყენებს მრავალფეროვან გრაფიკულ მაორგანიზებლებს;
- განსხვავებული სტრატეგიების გათვალისწინებით შეასრულებინებს **წერით** დავალებას;
- გაითვალისწინებს **დიფერენცირებული სწავლებისა** და **განმავითარებელი** და **განმსაზღვრელი** შეფასების სტრატეგიებს;
- აუცილებლად ჩაატარებს ტექსტის საფუძველზე **როლურ კითხვასა და გათამაშებას**, შეაქმნევინებს **შემოქმედებით პროდუქტს** - ნააზრევის ვიზუალიზების თვალსაზრისით;
- საკლასო ოთახშივე შეარულებინებს **კომპლექსურ დავალებას,** რაც მოიაზრებს იავნანას თემის სხვადასხვა სფეროებიდან (ლიტერატურა, ქართული მხატვრული ფილმები, კომპოზიტორთა

შემოქმედება, ხალხური მუსიკა) მოძევას, მოსმენას, გააანალიზებასა და აუდიტორიის წინაშე წარდგენას.

- ყურადღებას გაამახვილებენ **იავნანას:** ა) **განსხვავებულ მელოდიებზე,** რომლებიც კუთხეებისთვის დამახასიათებელი კოლორიტით არის განპირობებული; ბ) **ტექსტის ცვალებადობაზე,** განსხვავებულობაზე, რაც უკავშირდება ეპოქასა და პრობლემატურ გარემოს.

იავნანას მაგიურ ძალაზე **იაკობ გოგებაშვილმა** მოთხრობა დაუწერა პატარებს სახელწოდებით - **"იავნანამ რა ჰქმნა?!"** მოთხრობის ორიგინალური სიუჟეტი სპეკტაკლის დასადგმელად, ფილმის გადასაღებად და ოპერის შესაქმნელად გამოიყენეს ხელოვანებმა; შეიტანეს სასწავლო პროგრამაშიც.

„იავნანას" ჯადოსნური ძალა ნაწარმოების (იავნანამ რა ჰქმნა?!) ბოლო მონაკვეთში ასე ემოციურად გადმოგვცა ავტორმა:

„რაც ქეთო დაჰკარგა, მას შემდეგ მაგდანის სიმღერის ხმა აღარავის გაუგონია. ეს პირველი სიმღერა იყო ათის წლის დუმილის შემდეგ.

მაგდანი ფანჯარასთან იჯდა, ქეთო იყო მოთავსებული პატარა ტახტზე ოთახის კუთხეში. იავნანას მაგდანი ჯერ დაბლა ხმით, ღიღინით ამბობდა, მერმე კი თავისი ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დამღერა, მაღლა ასწია. პატარა ხანს უკან ისე, უნებლიეთ, გაიხედა ქეთოსაკენ და გაოცდა: ქეთოს აშკარად ეტყობოდა სახეზე აღელვება.

ცხადი იყო, რომ რაღაცას იგონებდა და ვერ კი მოეგონებინა გარკვევით. მისი ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ კი გამოეღვიძა. გონების ძირიდან, რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქვასა, მაგრამ ზევიდან კეცკეცად აწვნენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მაღლა ამოსვლასა.

მაგდანმა ეს კარგად შეამჩნია და თავის ხმას მისცა საოცარი მეტყველება და მიმზიდველობა. უწინ ამგვარი სიმღერითა და ამავე ხმით ყოველდღე უტკბობდა მაგდანი თავის ქეთოს სიპატარავის დღეებსა.

მაგდანის ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის ნაშთნი, საგონებელნი. მაგდანი თან ხმას აძლევდა მომხიბლავს ძალას და თან ქეთოს შესცქეროდა უსაზღვრო დედობრივი სიყვარულით.

ქეთოც თითქმის სჭამდა თვალით დედის პირისახესა და მღელვარებით ცდილობდა, ამ სახეზედ ამოეკითხა რაღაც დიდი საიდუმლო და კიდეც ამოიკითხა.

ქეთოს აღელვებული სახე თანდათან დაწყნარდა და პირისახიდან მთლად გადაეყარა შავი ღრუბელი, განსაზღვრული სხივის ნათელი მოეფინა სახეზე და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზე ელვარება. უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდან, დაიძახა სანატრელი ხმით - „დედავ!" მსწრაფლ მივარდა მაგდანას, მოეხვია ორივე ხელით და მხურვალედ დაუწყო კოცნა. დედასა და შვილს თქრიალით მოსდიოდათ ცრემლი, მაგრამ ეს ცრემლი იყო სიხარულისა, შვებისა და ლხენისა."

ტექსტის გაცნობის და გაგება-გაანალიზების შემდეგ მოსწავლეები სიღრმისეულად გაიაზრებენ, რომ ქეთოს ვერც ქართულმა საუბარმა, ვერც მშობლების მოგონებებმა და დიდმა სიყვარულმა, საბავშვო სათამაშოებმა, გარემომ, სახლმა და ა.შ. ვერ გაახსენა მისი ბავშვობა. მოთხრობის თავისებურება მის წმინდა ფსიქოლოგიზმშია, ე.ი. იმაში, რაც იავნანას მოსმენით შესძლო, რამაც ცამეტი წლის ლეკადქცეულ ქეთოს თავისი ადრეული ბავშვობის დაკარგული მოგონებები აღუძრა . . და კვლავ ქართველ ქალად აქცია (ვიდეომასალა, ნაწყვეტები ფილმიდან „იავნანა").

აქვე იავნანას შესახებ მოსწავლეებთან ერთად საინტერესო ინფორმაციას მოიძევს პედაგოგიც, დაამუშავებინებს და **კომპლექსური დავალების** სახით, - **„ქართული იავნანა“** - და წარადგენინებს კლასს. პატარები გაერკვევიან იმაში, რომ ქართულ ფოლკლორში "იავნანას" თავდაპირველად **ინფექციური დაავადებებისაგან განკურნების** როლი ენიჭებოდა, მხოლოდ მოგვიანებით გაიგივდა იგი სააკვნო სიმღერასთან.

დაასკვნიან, რომ "იავნანა" ზოგადქართული ცნებაა, რომლის უკან ბავშვთა დასაძინებელი სიმღერა იგულისხმება. ფაქტობრივად, "იავნანა," საკულტო საგალობელია მიძღვნილი ბატონების, მზის, სინათლისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანასადმი. ხოლო "ნანა" და "ნანინა" ოდითგანვე აკვნის სიმღერებად მოიაზრებოდა.

ერთობლივი მუშაობის შედეგად გაარკვევენ, რომ პირველი ლიტერატურული "ნანინა" დიმიტრი ბაგრატიონს ეკუთვნის. პოეზიის ნიმუშების გაცნობით დაადასტურებენ, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში "იავნანამ" ახლებური გააზრება შეიძინა და მისი მოტივები "ახალი ტიპის ქართველის" აღზრდის ამოცანებს დაექვემდებარა. ილია ჭავჭავაძის "ნანა" და აკაკი წერეთლის "იმერული ნანინა" ის ნაწარმოებებია, რომლის ფუნქციად, მიზნად და დანიშნულებად სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვის კეთილშობილური იდეის აკვნიდანვე შთაგონება გახდა.

ქართულ მხატვრულ ფილმში - "აკაკის აკვანი" - ეს პოზიცია კარგადაა გადმოცემული. ზუსტად აქ წარმოდგენილ „იმერულ ნანინას“ უკითხავს ახალგაზრდა აკაკი წერეთელი გამზრდელ ნანოს (მსახიობი ნატო ვაჩნაძე). სანიმუშოდ გთავაზობთ ერთ სტროფს ლექსიდან "იმერული ნანინა":

„გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო;
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;
ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის უფალიო!
ხომ გეამა, გენაცვალე! მან გაგაცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო! . . . “

"ნანინას" ჯადოსნური ჰანგი მგრძნობელობით გავლენას ახდენს სხვა ეროვნების ადამიანებზეც. ბავშვები გაეცნობიან ერთ მოგონებას, რომლის მიხედვით დადიანების სიძეს, **აშილ მიურატს,** სასიკვდილო სარეცელზე მწოლარეს, გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე მეგრული "ნანა" წაუმღერებია და გაკვირვებული მოწყალების დის შეკითხვაზე, სადაურია ეს სიმღერაო, თვალცრემლიანს უპასუხნია, მეგრული ძილისპირულიაო.

შემაძრწუნებელ განწყობას შეუქმნის მოსწავლეებს მომაკვდავი შვილისთვის „იავნანას“ მღერის კადრები (ქართული მხატვრული ფილმიდან **"დარიკო"),** რომელშიც სიმღერის მკვნესარე ინტონაცია გულისმომკვლელად ეფინება ციმბირში მიმავალი მატარებლის ვაგონის გაყინულ გარემოს და განსაკუთრებულობას სძენს ფილმის ამ დიდებულ კადრს. ცალკე აღნიშვნის ღირსია „ნანას“ **ტექსტი**. სიუჟეტი ზოგჯერ იცვლება სიტუაციისა და გარემოს გათვალისწინებით. მაგ., აქ ობლობაში გაჭირვებით გამოზრდასა და უსამართლობით დამძიმებულ ცივ, ციმბირის გრძელ, მტანჯველ და უსამართლო გზაზე უმღერის დედა შვილს.

მოისმენენ და შეისწავლიან **საბავშვო ანსამბლ "მზიურის"** მიერ შესრულებული "იავნანას" ვერსიას. მემორიალთან მდგარი ბავშვები ამ სიმღერით მიაგებენ პატივს სამამულო ომში დაღუპულ ქართველ გმირებს.

ინტეგრირებული სწავლების მნიშვნელოვან საფეხურად ჩაეთვლება მოსწავლეებს **კლასიკური მუსიკის** იმ ნიმუშების მოძიება და შესწავლა, რომელშიც „იავნანას“ თემა იყო

გაჟღერებული. ბავშვები დაადგენენ, რომ ”ნანას,” ”ნანინასა” და ”იავნანას” თემები საბავშვო კომპოზიტორებმაც გამოიყენეს თავიანთ სასიმღერო შემოქმედებაში, საფორტეპიანო ნაწარმოებებსა და საბავშვო ოპერებში. კერძოდ:

კომპოზიტორმა **შალვა თაქთაქიშვილმა** ”ნანას” თემაზე საბავშვო საფორტეპიანო პიესა შექმნა სახელწოდებით ”ნანა, შვილო” (1927 წ.). **თამარ შავერზაშვილმა** კი სიმღერა - ”ნანა, ჩემო ფისო” (1946 წ.).

ნანას თემა კომპოზიტორმა **ვ. ცაგარეიშვილმა** შეიტანა **ოპერაში ”ბრიყვი წრუწუნა.”** დედა თაგვის პარტია უაღრესად უშუალოა, გამომსახველი, დიდი სითბოსა და ბუნებრიობის შემცველი. იგი ხალხური ”ნანას” რწევად რიტმს ემყარება. მანვე ხალხური სიმღერების კრებულში ნანას თემაზე დამუშავებული სამი მელოდია გააჟღერა. ესენია: ”ოთხი ნანა,” ”იავნანა” და ”ნანა”.

ხალხური ”იავნანა” კომპოზიტორმა **ალ. ბუკიამაც** გამოიყენა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში შექმნილ საბავშვო **ოპერაში ”დაუპატიჟებელი სტუმრები.”** ოპერის პირველი მოქმედება მთავრდება ყვავილების გუნდით - **”იავნანა.”**

საბავშვო კომპოზიტორმა **მერი დავითაშვილმა** სიმღერების ციკლი ”დილა მშვიდობისა” დაასრულა სიმღერით - **”ძილი ნებისა.”**

ვანო გოკიელმა ოპერა ”წითელქუდას” (1960 წ.) მეორე აქტში **”ნანას” ინტონაციები** გამოიყენა, თუმცა არა დაძინების, არამედ თოჯინის გაღვიძების მიზნით (”ჰაწაწინავ, გაიღვიძე!”).

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ კომპოზიტორ **თამარ შავერზაშვილის** მიერ ი. გოგებაშვილის მოთხრობის,- ”იავნანამ რა ჰქმნა?!”,- მიხედვით შექმნილ საბავშვო ოპერაზე - **”იავნანა”.** ”ნანას” მუსიკალურ მასალას ემყარება ოპერის შესავალი. პირველსავე ნაწილში კახეთის თავადის მეუღლის არიაა ”ნანას” თემაზე, ოპერის ფინალური გუნდი კი აზოგადებს მთელი ნაწარმოების დედააზრს:

”ჰეი, ვაშა და სალამი
მხარი დავადოთ მხარსაო,
კვლავ **იავნანა** ატკბობდეს
სამშობლოს მთა და ბარსაო . . . ”

იმაშიც გაერკვევიან მოსწავლეები, რომ აღნიშნული ოპერა მხოლოდ საკონცერტო შესრულებით იქნა წარმოდგენილი; საოპერო თეატრის სცენაზე, სამწუხაროდ, არ დადგმულა.

როგორც დადგინდა, იმდენად პოპულარული და სისხლხორცეული იყო ივნანას თემა საქართველოში, რომ არა მარტო **ხალხური „ნანები,“** არამედ **პროფესიონალი კომპოზიტორების** მიერ შექმნილი მრავალგვარი „ნანა“ ამშვენებდა ქართულ მუსიკალურ გამოცემებსა და სცენებს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს გააცნოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის (იმერული, მეგრული, გურული, კახური, სვანური . . .) ”ნანები” ცნობილი ხალხური ანსამბლების შესრულებით, ესაუბროს და ასაუბროს თითოეული მათგანზე, საქართველოს კუთხეებისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებასა და ხასიათზე.

„ნანას“ თემას **ფერწერაშიც** შეიძლება წააწყდეთ. მართალია სიუჟეტური თვალსაზრისით იავნანას მღერის პროცესი აქ არაა წარმოდგენილი, მაგრამ გადმოცემით, სწორედ ეს თემა დაედო საფუძვლად. პედაგოგი საინტერესო ინფორმაციას გააცნობს მოსწავლეებს აღორძინების ეპოქის დიდებული წარმომადგენლის, **რაფაელ სანტის,** აღნიშნული ნახატის შექმნის შესახებ:

თურმე, ერთხელ, უდიდესი იტალიელი ფერმწერი სამიკიტნოში შესულა სავახშმოდ. მას ფანჯარასთან დაუკავებია ადგილი. სამიკიტნოს მახლობლად ქალი მჯდარა, რომელიც, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, **ჩვილ ბავშვს უმღეროდა.** ქალის გვერდით უფროსი ვაჟი იდგა. საოცრად პოეტური იყო მათი სურათი იტალიური საღამოს ფონზე. რაფაელს სურვილი დაჰბადებია ქალი დაეხატა, მაგრამ ხელთ არ ჰქონია არც ტილო და არც მოლბერტი. მის მახლობლად ჩანდა კასრი. კასრის მრგვალ სახურავზე რაფაელს დაუხატავს ქალი ჩვილითა და უფროსი ვაჟით. მხატვარს იგი მიკიტანისთვის გადაუცია მცირე ვახშმის საფასურად.

ამჟამად ეს სურათი ფლორენციის პიტის სასახლეში ინახება და ცნობილია **"მადონა დელა სედიას"** სახელით . . .

მნიშვნელოვანია, „იავნანას" აღნიშნული ეპიზოდი როლურად გაითამაშონ მოსწავლეებმა და სიმღერასთან ერთად პლასტიკითა და მოქმედებით გადმოსცენ სიუჟეტი.

როგორც ვხედავთ, თავი მოვუყარეთ ცალკეულ დისციპლინებს საერთო თემის ირგვლივ და მოსწავლეებს სასწავლო პროცესში საკითხი შევასწავლეთ მრავალმხრივად. ინტეგრირებული სწავლების გამოყენებით დავრწმუნდით სიმღერის, კერძოდ, **„იავნანას"** ფენომენსა და ძალაში; იმ ძალაში, რომელმაც ლეკის ქალად ქცეული გოგონა ქართულ ფესვებს დაუბრუნა.

ლიტერატურა:

1. შანიძე მალვინა, ქართული ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით კლასებში მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნებთან კავშირში, ქუთაისი, 2006 წ.;
2. შანიძე მალვინა, მუსიკის თეორიის ინტეგრირებული სწავლების კურსი, ქუთაისი, 2015 წ.;
3. როდონაია ვ. და მისი ჯგუფი, ქართული ლიტერატურის მე-5 კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 2020 წ.;
4. 2017 – 2023 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები;
5. ვიდეომასალებისა და დამატებითი ინფორმაციებისთვის ინტერნეტსაიტები: გუგლი და იუთუბი.

Malvina Shanidze

Akaki Tsereteli State University

Issues of integrated teaching of Georgian language in connection with art subjects

Abstract

The integrated lesson is the most common form of interdisciplinary teaching. Interdisciplinary teaching itself is a method or a set of methods, which is used for interdisciplinary teaching of the subjects provided by the curriculum (study plan). It sort of brings together separate disciplines in terms of studying/solving a common topic, issue or problem.

For this purpose, we focused on the teaching of Georgian language and literature by integrating it with art subjects (film art, folk and classical music, fine arts).

We focused on individual disciplines around a common theme and taught the students the issue in a multifaceted, integrated way. We became convinced of the power of song, namely, the lullaby; using integrated teaching, the phenomenon and power of the lullaby; In the power that returned the girl who turned into a woman from Leki to her Georgian roots.